№ 88, შაბათი, 18 იანვარი 1897 წ. 1896—1—97 შაბათი, 18 იანვარი 1897 წ. № 88.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ტფილისი

კვირას, 26 იანვარს, გელათის მონასტერში
გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
ნეტარხსენებულის ეპისკოპოსის
გაბრიელის
სულის მოსახსენებლად

„ივერია"
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.
ფასი გაზეთისა:

		მ.	კ.			მ.	კ.
11	თვით და 13 დღით —	9	60	6	„ — — — —	6	„
11	„ — — — —	9	50	5	„ — — —	5	50
10	„ — — — —	8	75	4	„ — — —	4	75
9	„ — — — —	8	„	3	„ — — — —	3	50
8	„ — — — —	7	25	2	„ — — — —	2	75
7	„ — — — —	6	50	1	„ — — — —	1	50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია ახალი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
სურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ану Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—23)

ქართული თეატრი
კვირას, 19 იანვარს, 1897 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
და-ძმა
დრ. 5 მოქმედებად თხზ. .ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ.
ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

„ახალი მკითხველი"
მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემაზე.
ფასი მთელი წლისა 3 მანათი.
შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.
ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель". Ивану Павловичу Ростомову.* (30—11)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის 28 დეკემბრის 1896 წლის გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაამტკიცა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ., შესდგება საბჭოს

საარჩევანო სიები

ტფილისის ხმოსანთა ასარჩევად ოთხის წლის ვადით 1897—1901 წლებში, საარჩევანო კრებაში, რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაისს 1897 წელს.

ამ სიაში ჩაიწერებიან (24 მუხლ. ქალაქის დებულებისა):

1) რუსეთის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქველ-მოქმედო, სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებანი მთავრობისანი, რომელთაც აქვთ საკუთარი უძრავი მამული ტფილისის სამზღვართა შორის, ღირებული არა ნაკლებ ას ორმოცდა-ათის თუმნისა, და რომლისათვისაც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ დაფასების გარდასახადს.

და 2) რუსეთის ქვეშევრდომნი და რუსეთის იმპერიის კანონთამებრ დაარსებულნი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, რომელთაც წლიწადზე ნაკლები არ არის, რაც ტფილისში აქვთ სავაჭრო-სამრეწველო წარმოება, რისთვისაც საჭიროა მოწმობა პირველის ან მეორე გილდისა.

ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობად სთვლის ყოველსავე ზემოხსენებულს დასძინოს, რომ საარჩევანო სიების შედგენას იგი დაასრულებს, თანხმად იმავე გარდაწყვეტილებისა, ამა 1897 წ. 1 თებერვლამდე. ამიტომ ვისაც ჰსურს ჩაწერილ იქმნას სიებში, ამ წლ ს იანვრის გასვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის ყოველივე დარჩენილი გარდასახადი, რომელიც ერგება გამგეობას წარსულ წლის 1 ივლისამდე, რათა მათზედ დარჩეს არა უმეტეს ნახევარ წლის შემოსატანი, ქალაქის დებულების მე-33 მუხლის გ. 8 ძალით. (3—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ზრონტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. ზრონტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

ახალი ამბავი

—

† გრაფინია ს. დ. ტატიშჩევისა გუშინ, 17 იანვარს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავკასიის მთავარ-მარებლის თანამდებობის აღმასრულებელის ინფანტერიის გენერლის, გრაფი ივანე დიმიტრის ძის ტატიშჩევისა მეუღლე გრაფინია სოფიო ასული 1812 წლის გამოჩენილის ვეტერანის დიმიტრი ბელიოვცევისა.

განსვენებული თავმჯდომარედ იყო „უსინათლოთა სამზრუნველო საზოგადოების" კომიტეტისა.

*** **საქმეების განაწილება ქალაქის გამგეობის წევრთა შორის.** ტფილისის გამგეობის წევრთა შორის შრომა ასე გაუნაწილებიათ: ქალაქის თავის მოადგილე ა. ა. ივანენკო საერთოდ თვალ-ყურს ადევნებს ყველა საქმეებს გამგეობისას და გამგეობის ყველა ნაწილთა დაწესებულებას, ნიშნავს კრებებს, ამზადებს მოხსენებათ, მისვე მხედველობის ქვეშ იმყოფება ქალაქის კასსა, ბუღალტერია, ქალაქის სასწავლებლები და სხვა საერთო ყურის მგდებლობა მასა აქვს დავალებული.

გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთაშვილი თვალს ადევნებს ქალაქის ყველა შემოსავალს და გასავალს, სავაჭრო პოლიციის მოქმედებას, საექიმო სანიტართა ნაწილს, საყასბოებს, ქალაქის წყლის მილს და სხვა ქალაქის ქონებას.

ხმ. ა. ვერმიშევს დაევალა, შეადგინოს ქალაქის მოძრავ ქონებათა სია, ყური უგდოს ქალაქის შენობებს, ქუჩების შეკეთებას, მორწყვას და სიწმინდეს, ცხენის რკინის გზას, ქალაქის ბაღებს, ახალშენებს და სხ.

ე. ე. ხოსროევი თვალ-ყურს ადევნებს სავაჭრო პოლიციის, აღებ-მიცემობის საქმეს, ქალაქის განათებას და საზოგადოდ ქალაქის გარეგან მოწყობას და გაუმჯობესობას, მასვე ევალება თვალ-ყური ეჭიროს ყველა ყასბებზე, მეპურეებზე, მეეტლეებზე, სავაჭრო მოწმობების გაცემა, ებრაელთა საქმე, სავაჭრო წიგნები და საზოგადოდ საჩივრების დაწყება ყველა სასამართლოებში და სხვა.

ამის შემდეგ, იმედია, ქალაქის გამგეობის საქმე უკეთ წავა, რადგან ყოველ წევრს თავისი საქმე აქვს დავალებული, დღემდე-კი მეტად არეულად მიდიოდა საქმეები, რადგან არც ერთმა არ იცოდა, რისთვის მოეკიდნა ხელი.

*** **წირვა წმიდა ნინოობას სასულიერო სასწავლებელში.** ზედამხედველის ნებართვით თბილისის სასულიერო სასწავლებელში წმიდა ნინოობას იყო ქართული წირვა. ეს ერთი დღეა მთელს წელიწადში, როდესაც სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთ ესმით ქართლ-კახური გალობა. წელს ქართულ გალობას ლოტბარობდა მეოთხე კლასის მოწაფე ვასილი მოლოდინაშვილი. მოწაფეთა ხორომ ჩინებულად შეასრულა ქართული საგალობელი. მოწაფეები მეტად ნასიამოვნები დარჩნენ ქართულის წირვით და ქართულისავე გალობით.

*** **სახელმწიფო მიწები კავკასიაში.** სახელმწიფო ქონებათა მოხელეების გამოანგარიშებით, კავკასიაში სახელმწიფო მიწა ყოფილა 418,490 დესეტინა.

*** **ქალაქის საყასბოს შესახებ.** ამას წინად შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ რადგან ქალაქები შეუძლებლობისა გამო ვერ ახერხებენ თავიანთის შეძლებით გააკეთონ ცხენის რკინის გზები, გამართონ ელექტრონის განათება ქუჩებისა, გაიყვანონ მილის წყლები და ან მოკირწყლონ ქუჩები უკეთესის მასალით და დაიკმაყოფილონ მრავალნი სხვა საჭიროებანი, და ამ შეუძლებლობისა გამო იძულებულნი არიან, გარდასცენ ამისთანა მოგებია-

ნი საქმეები ფულიან კაცებსა და საზოგადოებებს, რომელნიც 30—40 წლის განმავლობაში სარგებლობენ ამ საქმეთა შემოსავლით; ამიტომ იგი, ბ-ნი მინისტრი, ყოველს შემწეობას აღმოუჩენს ქალაქებს, რომ ხსენებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მათ გამოსცენ თავიანთი ობლიგაციები და ასეთის ვალით იშოვნონ საჭირო ფულიო, რომ მოგება თვით ქალაქებსვე დარჩეთ და უფრო უკეთეს კეთილ-განწყობილებას ქალაქებისასვე მოხმარდესო. ასეთის განცხადების გამო დღეს ტფილისის თვითმართველობა აპირობს საყასბოების აშენებას, რომლისთვისაც უნდა სთხოვოს მთავრობას 400.000 მანათის ობლიგაციების გამოცემა. მაგრამ რადგან ამ თხოვნის დაკმაყოფილება გასტანს თითქმის ორ წლამდე, მერე თვით ობლიგაციების გამოცემას და დახურდავებას მოუნდება არა ნაკლებ ერთის წლისა, ბოლოს საყასბოების აშენებაც გასტანს კარგა ხანს, ასე რომ ეს საქმე დასრულდება არა ადრე 4—5 წლისა; ამასთანავე, რადგან ობლიგაციების გამოცემა და დახურდავება მოითხოვს 50.000 მანათამდე ხარჯს, მერე თვით ობლიგაციების გამოსყიდვა ვალის მოსაშორებლად და პროცენტების ძლევა მოითხოვს კარგა დიდს ხარჯს 25 წლის გათავებამდე,—ამიტომ ქალაქის გამგეობამ სიამოვნებით მოისმინა წინადადება ინჟენერ ა. დ. მიხაილოვისა, რომელიც წარმომადგენელია საფრანგეთის საყასბოების უფროს საზოგადოებისა და რომელიც ეუბნება გამგეობას, რომ მაგ ფულით ხსენებული საზოგადოება უფრო უკეთესს საყასბოს და მალეც, სულ რამდენსამე თვეში აგიშენებთო, რადგან მაგ საქმეს იგი ადგა ეს ოცი წელიწადია და საუცხოვოდაკ მიჰყავს მთელს ევროპაშიო. გარდა მაგისა, იქვე ავაშენებთ ქარხნებს, და ფაბრიკებს, რომლებშიაც გამოსაყენებლად შემუშავდება ყოველივე შიგნეულობა, ძვალი და სისხლი პირუტყვისა და ხარჯი აღარა მოგივათ რა ამ უწმინდურების გასაზიდათაო. თანაც ვიდრე ამ საზოგადოების ხელში იქნება საყასბო, ქალაქს მიეცემა შემოსავალი ყოველ დაკლულ საქონელზედ თანხმად შეპირებისაო. ეს ისეთი წინადადებაა, რომ უეჭველია საბჭო არჩევს მოკლე და სასარგებლო გზას, რომლის შემწეობითაც მოიშორებს თავიდამ ეხლანდელს სულის შემხუთავ საყასბოს და აღირსებს მცხოვრებთ იმისთანა შენობას, რომელიც ეკადრება ამ დიდ ქალაქს, მთელის კავკასიის სატახტოს.

⁂ **ეპისკოპოსი ხორენ სტეფანე**, როგორც სომხური გაზეთები იუწყებიან, მალე ჩამოვა ტფილისში და აქედან გაემგზავრება ყირიმში. ხორენ სტეფანე ბაქოდან ჩამოვა, სადაც მან დიდძალი ფული შეაგროვა სომეხთა სასულიერო სემინარიისათვის.

⁂ **ახლად არჩეული გამგებლები ტფილისის კლუბისა და კრუჟოკისა.** ტფილისის „კრუჟოკის“ გამგებლებად. არჩეულ იქმნენ: ინჟენერი ბოლგარსკი, ორლოვსკი, ლუნკევიჩი, ფონ-გაუდელიცი, გუდიმ-ლევკოვიჩი, ბაკულინი, ობლომსკი, სტალინსკი, ოდნოსუმოვი, ელჩუკოვი და შჩერბოვიჩი-ვეჩორი; ხოლო ტფილისის კლუბში აურჩევიათ: ენიკოლოფოვი, ქალანთაროვი, ალიხანოვი, მელიქნუბაროვი, ფსაროვი, აზარიანცი და არღუთინსკი.

⁂ **შავის ქვის ახალი მადანი.** დღე ისე არ გავა, რომ რაიმე ახალი სიმდიდრე არ აღმოჩნდეს ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში. გუშინდელ „ნოვოე ობოზრ.“ №-ში სწერია, რომ ძირულას ახლო, სოფელ უბისში, სახელმწიფო გლეხების მამულში აღმოუჩენიათ იოსებ ზემბას და მიხეილ ყიფიანს ახალი მადანი შავის ქვისა, რომელიც გაცილებით სჯობია ჭიათურის შავ ქვას. სოფ. უბისი რკინის გზის ლიანდაგიდან ექვსი-ათის ვერსის მანძილზეა და რა თქმა უნდა, ჭიათურის შავ ქვას დიდს კონკურენციას გაუწევს ჯერ ერთი თავისის უკეთესის ღირსებით და მერე რკინის გზის სიახლოვით.

⁂ **ამერიკის ვაზის გაშენება ქუთაისის გუბერნიაში.** მთავრობამ ნება დართო ქუთაისის გუბერნიის მემამულეს მ. ანანოვს საფრანგეთიდგან ამერიკის ვაზი მოიტანოს ქუთაისის გუბერნიაში გასაშენებლად, ხოლო საფილოქსერო კომიტეტმა უნდა გასინჯოს ხოლმე, რომ ამ ვაზს ავადმყოფობა რამ არ მოჰყვეს.

⁂ **ამიერ კავკასიის რკინის გზის საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.** 1897 წელს რკინის გზა მოელის შემოსავალს 15,960,000 მანათს. გასავალი ექმნება—7,968,453 მანათი. დარჩება წმინდა მოგება 7,991,517 მან.

⁂ **ოსმალეთიდგან გამოქცეული სომხები** შუშაში მეტად გაჭირვებულნი არიან. მთავრობის ნებართვით ქ. შუშაში გაიმართა მათთვის უფასო სასადილო. 5 იანვარს მათ სასარგებლოდ ქალაქში შეკრიბეს 1,000 მანათი.

⁂ **მოპარული ნივთები დუკასოვისა** პოლიციის ბოქაულმა თ. თუმანიშვილმა უკვე იპოვნა. ნივთები მიწაში ყოფილა დამარხული რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად.

გუშინ წინ კიდევ მალაკან პატაპოვის 13 წლის ვაჟმა იპოვნა დუკასოვის თამასუქები და საჭირო ქაღალდები, რომლებიც პატაპოვმა პოლიცმეისტერს წარუდგინა.

⁂ **ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი** არქიმანდრიტი დიმიტრი ნოვგოროდში გადაჰყავთ სემინარიისავე რექტორად („ჩერნომ. ვესტნ.»).

⁂ **საზიზღარი მკვლელობა.** ამ ხუთის დღის წინად საკარლიას სადგურის (ალსტაფის სადგურის ახლოა) ტელეგრაფის მოხელე ი. მალჩანოვი სანადიროდ წასულა ძაღლით. ერთი იხვი მოუკლავს, მერე შეხვედრია სადგურის ერთს მოსამსახურეს და ამასთან ერთად ჩასულა წყალზე თევზის დასაჭერად. ამ დროს გამოუვლია ერთს თათარს და უთქვამს მალჩანოვისთვის: ეგეთი მშვენიერი თოფი მქონდეს და არ ვინადიროვო, წამოდი მშვენიერს ადგილს გიჩვენებ, სადაც ბევრია ნადირიო. მალჩანოვს დაჭერილი თევზი მიუცია მოსამსახურისთვის, შინ წაიღეო და თითონ თათარს გაჰყოლია. სამი დღე მალჩანოვი დაკარგული ყოფილა. გუშინ წინ, 16 იანვარს, რკინის გზის მოსამსახურეებს უპოვნიათ საცოდავის გვამი მიწაში ჩაფლული. თათარს ხანჯლით მოუკლავს საბრალო კაცი, ხანჯლითვე მოუკლავს იმის ძაღლიც და მერე მოკლული კაციც, ძაღლიც, ნანადირევი იხვიც მიწაში ჩაუფლავს, თითონ თოფი წაუღია და წასულა. მალჩანოვი ცოლშვილიანი იყო. დარჩა ოთხი შვილი. შინ რომ მოასვენეს გვამი, ცოლშვილის საცოდაობით ქვა იწოდა. საბრალო მეუღლე მალჩანოვისა, თითონაც მეტად მწუხარე, შვილებს ამშვიდებდა და ატყუებდა, ნუ სტირით, ეს მამა თქვენი არ არის, სხვა კაციაო.

⁂ **შუშის ქარხანა ბორჯომში** უკვე გაიმართა და აკურხეს კიდეც. მუშაობაც დაიწყეს.

⁂ **საერთო სწავლა-განათლების შესახებ.** რუსულ ჟურნალში ,,ნაბლიუდატელ“-ის ამ წლის პირველ ნომერში სწერია, რომ „საერთო სწავლის შემოღება რუსეთში შეადგენს ერთს უმთავრესს და უსაჭიროესს საკითხავს ჩვენის დროისას. ამ საჭირ-ბოროტო საგნის გადადება ყოვლად შეუძლებელია, რადგან უსწავლელობა ძირს უთხრის რუსეთის ყოფა-ცხოვრების, ერის დღეგრძელობას, საერთო მრეწველობას და ამის გარდა არ შეფერის რუსეთს ჩამორჩენა მეზობელ სახელმწიფოთა შორის. საერო განათლება არის დედა-ბოძი ერის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისა. ბრძოლა უმეცრებასთან ყოვლად შეუძლებელია, თუ არ სწავლა-განათლებით, რომელიც უმთავრეს სიგნად უნდა მიაჩნდეს მთავრობას. ჩვენს დროში ყველა სახელმწიფონი იმას ცდილობენ, რომ ხალხში განათლება და სწავლა გაავრცელონ, რადგან მარტო ამაში ხედავენ ხსნას და შველას ყოველ უბედურებისა და გაჭირვებისაგან. ამიტომ სრულის თანაგრძნობით და სიხარულით მივეგებებით რუსეთის იმ ერობათა კრებებს, რომელთაც საერთო სწავლის კითხვა აღძრეს და საცაა შემოიღებენ, კიდეც თუ მთავრობა ხელს შეუწყობს მათ და სხვა.

⁂ **სანიტართა საყურადღებოდ.** სოლოლაკზედ, ამაღლების ეკკლესიის პირდაპირ ერთი პატარა ქუჩაა, რომელსაც ვოდოსტოჩნი ჰქვიან. აგერ ეს ათი დღეა, რაც ქალაქის მმართველობამ დაავგვევინა და ნაგავი კი ისევ სახლების წინ აგვიკოკოლავა და ვიხრჩვებით სუნით; თუ დაგავეს, გატანაც უნდა გვღირსებოდა.

† ივანე კვინიტაძე.

დღეს ასაფლავებენ კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის გალავანში განსვენებულს მოხუც მეომარს პოლკოვნიკს ივანე კვინიტაძეს. იგი დაიბადა 1825 წელს 1 თებერვალს; სამოცდა-თორმეტ წელს სულ რამდენიმე დღე-ღა აკლდა და მთელი თავისი სიცოცხლე სულ ბრძოლის ველზედ გაატარა. უკანასკნელ დღემდის სამხედრო სამსახურში ითვლებოდა. გარდაიცვალა ნინოობა დღეს, ნასადილევს, ძილის დროს. განსვენებული ოჯახის მოყვარე კაცი იყო და ფრიად სტუმართ მოყვარე. ამასთანავე მხიარული და მობაასე. ძალიან ბევრი იცოდა უწინდელი ამბები და ლაპარაკში ხშირად ანდაზებსა და ლექსებს ურევდა ხოლმე და თავის სტუმარს სრულებით არ მოაწყენდა.

ბრძოლის ველზედ ბევრი მამაცობა გამოუჩენია, რის გამოც მრავალის ჯილდოებით ჰქონდა სავსე გული. იმასა ჰქონდა ოცამდის სხვა-და-სხვა გულის ჯილდოები. წმ. გიორგის ჯვარი, წმ. ვლადიმირისა მესამე და მეოთხე ხარისხისა, წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისა იმპერატორის გვირგვინით, კიდევ წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისავე გადაჯვარედინებულის ხმლებით, იგივე ორდენი მესამე ხარისხისა, ოქროს ხმალი ზედ-წარწერით „მამაცობისათვის“, მრავალი მენდლები და სხვა-და-სხვა სამხედრო ნიშნები, აგრეთვე არა ერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული ფულითაც. მას მიუღია მონაწილეობა ზაქათალის ამბოხების დამშვიდებაში, ციხე-სიმაგრის ახულგოს აღებაში, ყაბარდოსა და დაღესტნის დაპყრობაში, ხივის ომში და კიდევ სხვა წვრილმან ომებში. ამ ომებში რამდენჯერმე იყო დაჭრილი, მაგრამ ღონიერი აგებულობა არ დაუვარდა ამ ჭრილობებს და ახლა კი ულმობელმა სიკვდილმა დასძლია.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი მამაცო მეომარო, და სასიქადულო ივანე.

გაზეთი „კავკაზი“ სწერს: „მისი ცხოვრება და ბრძოლა სწორედ რომ საკვირველია, 58 წელიწადი ემსახურა სახელმწიფოს და მრავალი ჯილდო მიიღო. მისი სახელი ძვირფასი უნდა იყვეს ყველასთვის, ვინც კი პატივსა სცემს რუსეთის სახელს. ულმობელი სიკვდილი ქურდულად მიეპარა ამ სახელოვანს გმირს და ისე გამოასალმა ქვეყანას. განსვენებულს დარჩა ცოლი, ორი ქალი და ერთი ვაჟიშვილი, ძლიერ გაჭირვებულნი. მაგრამ გმირის სახელი უეჭველია მიაღწევს ხელმწიფის ყურს და რა თქმა უნდა ლოცვა წინაშე უფლისა და ერთგული სამსა-

---

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბერლინში მოხდა ქალთა კონგრესი, რომლის საგანი იყო ქალების წარმატებაზედ, ეგრეთ წოდებულის ქალების კითხვა სხვა-და-სხვა რეფერატების, ცნობების, შენიშვნების წაკითხვა. ამ ქალთა კრებას მოუვიდა ღია წერილი პოლონელ შესანიშნავ ქალისაგან ელიზ. ოჟეშკოსაგან. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს კრებაზედ. ჩვენც მეტად შესანიშნავად მიგვაჩნია მწერალი ქალის ქალებზედ გამოთქმული აზრები და გვსურს ჩვენნი მკითხველნი, განსაკუთრებით ქალები, გავაცნოთ ამ აზრებს.

ელიზა ოჟეშკო „ქალების კითხვას“ სულ სხვა ფრივ სჯის, იმას მაინც და მაინც, არაფრად მოსწონს, რომ ქალები მეცნიერების გზას და ქონების შეძენას, მატერიალურად დამოუკიდებლობას გაყვნენ, თუმცა ერთიცა და მეორეც კანონიერად და სასურველად მიაჩნია. იმას ყველაზედ მაღლა სურს დააყენოს „ამ კითხვაში“ ერთი ხელ-უხლებელი აზრი. პოლონელ მწერალს სურს ყოვლის უწინარეს, რომ მანდილოსანი მთელ კაცობრიობის კეთილ-ზნეობას ემსახურებოდეს... ქალებისაგან მოელის იგი ცოდვილ ქვეყნის აღორძინებას.

მისი სურვილია, ქალები უმთავრესად მისდევდენ ამ საქმეს, ცდილობდნენ პირად ზნეობის გაუმჯობესობაზედ და მით გავლენა იქონიონ მთელ კაცობრიობის ზნეობაზედ. თუ ქალები მუშაობას და მეცნიერების შეძენას მიჰყობენ ხელს, მხოლოდ იმისათვის, რომ ვიწრო თავმოყვარეობა დაიკმაყოფილონ, მატერიალურად განიკარგონ პირადნი საქმენი და არ ამაღლდნენ სულით და გულით, საზოგადო საკეთილ-დღეო მისწრაფებანი უკუ აგდონ—მაშინ ეხლანდელი ქალების მოძრაობა არა თუ რაიმე სიკეთეს მოიტანს, არამედ ყოველივე ეხლანდელზე უფრო უკუღმართად წავა. ვერ ვიტყვით, რომ ეხლანდელი ქალები წინანდელზე უფრო განათლებულნი და განვითარებულნი არ იყვნენ, მაგრამ მაგარი ის არის, უკეთესნი, უმჯობესნი არიან ახლა ისინი თუ არა?.. სთვლიან თუ არა თავიანთ მოვალეობად უფრო კეთილნი, წყნარნი და შეუცოდებელნი იყვნენ? განა ეს განვითარებულნი შვილის-შვილები უფრო სპეტაკნი, მიუდგომელნი, ფაქიზნი და სიწმიდის დამცველნი არიან, ვინემ ამათი დიდ-დედები იყვნენ? განა უფრო მეტს თავ-განწირულებას გამოიწვევენ, უფრო მეტი გონებით სჯიან, იკვლევენ ყოველივეს?..

ყველა ამ კითხვებზე ელიზა ოჟეშკო გულ-ნატკენი პასუხს იძლევა, რომ ქალები ეხლა არა თუ უმჯობესნი არიან, არამედ არც კი სთვლიან თავიანთ მოვალეობათ და ყოველივე ეგ იმათ პროგრამაში არ არის მოხსენებული!

თანამედროვე ქალთა მოძრაობა სრულებით არ ეხება ამ კითხვებს... ხელში არავის აუღია კალამი, რომ დაასურათოს, დაახასიათოს მომავალი დროის ქალი. რამდენი ქალთა საზოგადოება შემდგარა, რამდენი მოწინავე ქალი ყოფილა, რამდენს ჰყვირიან კაცთა და ქალების თანასწორობაზედ, ერთს—უფლებებზედ—და აბა თუ ვისმე მოსვლია აზრად, რომ ყველაზედ უწინარეს ქალთა ზნეობრივ მხარეზედ დაეწყოთ სჯა და არა ეგოისტურ, თვით-მოყვარეობის მიდრეკილებაზედ!.. ყველგან ამ მოძრაობაში, ამ კიჟინში სჩანს ეს მატერიალური მხარე, ეს მეცნიერებისადმი მისწრაფება და არა ამაღლებული გრძნობა სიწმიდისა და ზნეობისა!..

კაცობრიობის უმაღლესი იდეალი, რწმენა უნდა იყოს ჭეშმარიტება, მშვენიერება და სიკეთე—ქალის ბუნებას მარტო ეს ორი უკანასკნელი, ე. ი. მშვენიერება და სიკეთე მიუთვისებია და ჭეშმარიტება კი თითქოს ისეთი რამ იყოს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქალისათვის. გონიერება, რომელიც ასეთი საჭიროა ჭეშმარიტების გამოსაკვლევად, არ ითვლებოდა ქალების თვისებად... ყველა გაიძახოდა, თუ ქალი გონიერი გახდა, უთუოდ მისი სიმშვენიერე და სიკეთე დაითრგვნებაო. ქალების უვიცობა ნაკლულევანებათ არავის მიაჩნდა, პირ-იქით ფიქრობდნენ ჰქვიან, მეცნიერს ქალს ყოველივე მიმზიდველობა დაეკარგებაო.

რამდენიმე საუკუნეა ესე მომდინარეობდა საქმე, თუმცა ყოფილან ისეთი შემთხვევანიც, მართალია, იშვიათნი, როცა ქალებსაც ყველაფერზედ გავლენა ჰქონიათ, მაგალითად ძველს საბერძნეთში და რომში. რომის ქალები, თავდადებულნი მამულისათვის, სარწმუნოებისათვის, ქა-

ხური წინაშე მეფისა—არ დაიკარგება“.

ერთი ამბავი გაგვახსენა გასვენებულ ივანე კვინიტაძის ცხოვრებიდგან. ერთხელ 1877 ომის დროს კვინიტაძემ შემოჰკრა მხედარ მტერს თავისი ბასრი ხმალი და ერთის შემორტყმით გააპო მხედარიცა და ცხენიც. ეს საკვირველი ამბავი მოხდა დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის თვალ-წინ. გაოცებულმა მთავარმა განუცხადა კვინიტაძეს თავისი აღტაცება და სთხოვა, ეგ შესანიშნავი ხმალი მომყიდეთ. გმირმა ხმალი მიართვა და თან დასძინა:

— ინებეთ სახსოვრად, თქვენო უმაღლესობავ, ეს ხმალი, მაგრამ ამასაც მოგახსენებთ, რომ თუ ჩემის მარჯვენით არა, ეგ ხმალი ისე ვერ გააპოას მტერსა.

დიდს მთავარს ეს პასუხი ძლიერ მოეწონა.

⁂ **ქურდების კანტორა და სასწავლებელი ტფილისში.** პოლიციის ბოქაულმა ზაზულევიჩმა 14 იანვარს შუაბაზარში აღმოაჩინა საიდუმლო კონტორა მოსამსახურეებისთვის. ამბობენ, ეს კანტორა მდიდარ კაცების სახლებში აყენებდა მოსამსახურეებს და მერე მათის შემწეობით ქურდები შედიოდნენ სახლში საქურდლად. კონტორა პოლიციამ დაკეტა.

იმავე ბოქაულმა ზაზულევიჩმა შეიპყრო მტკვრის ნაპირზედ, ანჩისხატის ტაძართან, 12 ჯიბგირი. ამათში ზოგი 12—13 წლისა იყო. გამოცდილი ჯიბგირები ამათ თავის ხელობას ასწავლიდნენ.

⁂ **ბათომი. ქალაქის მოურავი.** ლ. ასათიანი 15 იანვარს მოვიდა ბათომში პეტერბურგიდგან.

⁂ **ს. მოლითი.** (ბექათუბნის საზოგადოება.) ძლივს გადვურჩით ცოცხალნი შარშანდელს მარცხიანს წელიწადს. რამდენი გაჭირება გამოვიარეთ, თუ წყალ-დიდობისა, თუ დიდის თოვლისა გამო. ახალი წელი-კი ჯერ-ჯერობით ნუგეშს გვაძლევს. ზამთარი ჯერ თბილია, მოსავალიც უკეთესი იყო შარშანდელზედ. ჩვენს სამინისტრო სასწავლებელში ეხლა ხანად გადმოიყვანეს მასწავლებლად ბ. ქიქინაძე, რომელიც ერთგულად ეკიდება თავისს საქმეს, ხალხიც ემადლიერება. ნეტავი, თქვენის მადლით, ისეთი კარგი და გულმოდგინე მამასახლისიცა გვყავდეს, როგორც მასწავლებელი გვყავს. ვინ არ დაგვეთანხმება, რომ მამასახლისობა და არყის დუქანში ვაჭრობა, ასეა თუ ისე, ერთმანერთს დაუშლის. არაყი დალიო მამასახლისის დუქანში და ასიამოვნო, შენს ჯიბეს აწყენინებ, არ დალევ იქ არაყსა და მამასახლისს ეწყინება, ვითარცა დუქნის პატრონს. ნეტა სხვა სოფლების მამასახლისებიც ვაჭრობენ არაყით და დუქანი აქვთ გაჩაღებული, თუ მარტო ჩვენა ვართ ამ ბედნიერებაში?

⁂ **კახეთი. წინამხარი, საქონლის ჭირი.** საშინლად მძვინვარებს საქონლის ჭირი. დღე არ გავა, რომ რამდენიმე სული არ იმსხვერპლოს. ექიმები, რაც შეუძლიანთ, ცდილობენ მოსპონ ეს სენი, მაგრამ საუბედუროდ, ისეთ საშვალებას ხმარობენ, რომ არა გვგონია გააწყონ რამე. გაუხდებათ თუ არა ავად ან ცხენი ან ძროხა, მაშინვე თოფით აკვლევინებენ. რასაკვირველია, გლეხი კაცი უფრო დამალავს თავის საქონელს და არ მისცემს მოსაკლავად.

⁂ **სუფსა. გახშირებული ქურდობა.** თითქმის ოთხი წელიწადია, რაც აქ ქურდობა არა ყოფილა, ეხლა-კი ისე გახშირდა, რომ კაცი ღამე სახლს ვერ დასტოვებს უყარაულოდ, ქურდ-ბაცაცები აღარ ზოგვენ არც ღარიბსა და არც მდიდარს, რაც ხელში მოხვდებათ ყველაფერს მიათრევენ. ამას წინედ თავადს ჯაბა გურიელს მოჰპარეს ათი ბატი, სამი ინდოური და ქათმებიც; მერე თურმე ნუ იტყვით, შიგ კარებში დაუკლავთ და ისე წაუღიათ; კიდევ ერთს აქაურს მცხოვრებს მოპარეს, რაც რამ ებადა. ერთს კიდევ მოჰპარეს ხანჯალი, რვა მანათი ფული, დამბაჩა, ტანისამოსი, წაღები და სხვ. მეორეს კიდევ მოჰპარეს ჩოხა ახალუხი, ვერცხლის სარტყელი და სხვ. ერთის სიტყვით, ისე დაგვაწიოკოს ქურდებმა, თითქოს უპატრონონი ვიყვნეთო...

⁂ **ქუნთრუშა რკინის გზის მუშებთა შორის.** 16 იანვარს რკინის გზის სადგურზედ მოსამსახურეთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე ავადმყოფი ქუნთრუშით. რკინის გზის უფროსმა ექიმმა ბ. სახაროვმა საჭირო საშვალება მიიღო ამ სენის მოსასპობად.

⁂ **დამწვარი საბძელი.** ამ დღეებში ერთ საწყალ ღარიბ-ღატაკს გლეხს მ—შვილს რამდენისამე ვაჟბატონის წყალობით დაეწვა საბძელიო, გვწერენ სოფ. ჯარიაშენიდამ (გორის მაზრა). აი ამ საქმის გარემოება. აქ ფოსტის ფულის ასაკრებად იყვნენ გამოგზავნილნი ჩაფრები. ღამე ბინა ვერსად ეშოვნათ და ნაცვალმა პირდაპირ ამ გლეხის საბძელში მორეკა. პატრონი უარზედ დაუდგა. ფოსტის ფული ერთი კვირაც არის მივეციო და «ზეკუცია« რაღათ უნდა ჩამიყვანოთო, მაგრამ იმას არავინ გაუგონა. საბძელი ქვითკირისა იყო და წალმითა ჰქონდა სულ ახლად დახურული. საბძელს ბუხარი ჰქონდა დატანებული, მაგრამ რაკი ცეცხლის ასანთებად არ უნდოდა ჯერა, მაღლა არ ეეყვანა და წალმისთვის არ აეცილებინა. პატრონი შეეხვეწა ჩაფრებს, ცეცხლს ნუ აანთებთ, ბუხარი არ არის აყვანილი, საბძელს დამიწვავთო. ჩაფრებს არ გაეგონათ, დაენთოთ ცეცხლი და საწყალი მ—ს საბძლისა ჭია-კოკოლაკი დაანთეს. დარბოდა საცოდავი გლეხი, იცემდა თავპირში და ღრიალებდა: კაი მე, კაი მე, დავიღუპე და დავნელდიო!». კავი და წალამი სულ დაიწვა, კედლები გადარჩა. კიდევ რამ კარგი აქაური ბოქაული შეჰპირდა, მაგ ჩაფრებს ჯამაგირს დაუჭერ და აგინაზღაურებ დამწვარსაო.

⁂ **ბათომი.** ამ ჟამად კავკასიაში რუსეთის ღვინო ძალიან ბევრი მოდის. დღე არ გავა, რომ გემმა 50—100 ბოჩკა არ მოიტანოს. ღვინო დაბალის ხარისხისაა, უგემური, ულონო და სხვა-და-სხვა წამლებით შეზავებული. მაგრამ ფასი მაინც კარგი აქვს. ბათომში ბესარაბიიდან მოტანილს ღვინოს (2—20; 2 მან. 80 კაპ.). ამ ფასად ღვინო ჩვენშიაც იყიდება და საკვირველია, რომ ჩვენი ვაჭრები ბესარაბიაში გარბიან ღვინის საყიდლად და თავისს სოფელში-კი არ ყიდულობენ.

— ყველამ კარგად იცის, რა დღე ადგია ბათომში ქართველ მუშებს. ნახევარზედ მშიერ-მწყურვალნი დაიარებიან, ეხლა ისე ცოტა საქმეა ბათომში, კვირაში ერთი დღე რომ ამუშავონ სადმე ქარხანაში დიდის ხვეწნითა და მუდარით, ისიც კარგია. მუშა ხალხს არა აქვს არაფერი თავშესაქცევარი საქმე, გარდა ქაღალდის თამაშობისა. შარცხანაში, თვით ქარხნის ახლოს, ყავახანებში დილიდგან საღამომდე ქაღალდის თამაშობაში ატარებენ დროს უსაქმოთ დარჩენილი მუშები და უკანასკნელ გროშს აგებენ. ჩხუბსა და აყალ-მაყალს ხომ დასასრული არა აქვს.

ვითომ არ შეუძლია ადგილობრივ ადმინისტრაციას ქაღალდის თამაშობა აღკრძალოს?

⁂ **გერმანელი ინგლისში.** ინგლისში ჩვეულებაა, ვისმესთან თუ სტუმარია, წასვლის დროს მოსამსახურეს ფული უნდა აჩუქოს. ერთი გერმანელი მდიდარმა ინგლისელმა მიიწვია სადილად თავის სახლში, ქალაქს გარედ. სადილის შემდეგ გერმანელი შინ წასასვლელად მოემზადა, დერეფანში ერთმა მსახურმა პალტო მიართვა. სტუმარმა მანათი აჩუქა. მეორე სსახურმა ქუდი მიართვა—ამასაც მანათი აჩუქა, მესამემ ჯოხი მიართვა—ამასაც მანათი აჩუქა. მეოთხემ ხელთათმანი მიართვა.— ეგ ხელთათმანი შენა გქონდეს სახსოვრად, ჩემო კარგო,—უთხრა გერმანელმა,—ღმერთს გეფიცები ერთ მანათად არა ღირს!

⁂ **ანტონიო მაცეო.** გერმანულს დასურათებულს ჟურნალ „Uber Land und Meer“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობა განთქმულ პატრიოტ ანტონიო მაცეოზე, რომელიც, როგორც მკითხველებმა უწყიან ჩვენის გაზეთიდან, კუბის აჯანყებულთა წინამძღოლი იყო. ჟურნალში მშვენიერი სურათიც არის ანტონიო მაცეოსი. სურათზე მაცეო მშვენიერის ახოვანის ტანის პატრონია, გმირული, ჯმუხი სახის გამომეტყველებისა, ახოვანი ტანისა, ჭკვიანურის თვალებით, წვერ მოპარსული. მთელი მისი გარეგნობა ამტკიცებს ძლიერის ხასიათის კაცს და ნამდვილ გმირს. ჩაცმულობა ჩვეულებრივი კუბელ მკვიდრისა აქვს, ხმალით გვერდზე და დამბაჩით. ანტონიო მაცეო დაიბადა 1848 წელს 14 ივლისს კუბის კუნძულზე, ღარიბ ოჯახში. სწავლა არსად არ მიუღია და პირველ ხანებში მუშად იყო, ჯორებით დაჰქონდა სხვა-და სხვა ტვირთი. ოცი წლის არც-კი იყო მაცეო, როცა კუბის კუნძულზე აჯანყება მოხდა. მაცეომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო და მალე აღმაღლდა, როგორც გამბედავი, გონიერი და მარდი მეომარი და ერთი წლის შემდეგ მაიორობა უბოძა. ცოტა ხნის შემდეგ მაცეომ პოლკოვნიკობა მიიღო და საკვირველის მამაცობით ებრძოდა ესპანელთა გენერლებს კომპოზას, ხალსამედას და გეილერს. მას შემდეგ, როცა ესპანელებმა დაამარცხეს აჯანყებულები და გაფანტეს 1878 წ., მაცეო იძულებულ იყო ამერიკას გაქცეულიყო. ამერიკაში იგი შეუდგა თავისს განათლების საქმეს და მალე შეიძინა საჭირო სწავლა და ცოდნა. ამერიკაშიაც მონაწილეობა მიიღო აჯანყებულთა ომში გონდურასში და ამერიკელებმა ამავე რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს და მერე დაინიშნა პუერ კორტეზის გუბერნატორად. ოთხმოციან წლებში გადასახლდა პორტო-რიკოში და იქიდან ხელს უწყობდა კუბის პატრიოტებს და ამზადებდა აჯანყების საქმეს. 1890 წ. მოინდომა აჯანყების დაწყება, მაგრამ ვერ მოახერხა, ხოლო 1896 წ. თებერვალს მთელს კუბაში ხალხი აჯანყდა და ანტონიო მაცეო წინამძღოლი შეიქმნა კუბის ხალხისა და საშინლად ამარცხებდა ესპანელთა ჯარებს. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაცეოს, იქიდან სჩანს, რომ ესპანიის მთავრობამ ჯილდოთ დაუნიშნა 50,000 პეზეტი (100,000 მან.), ვინც მაცეოს თავს ჩაგვიგდებს ხელშიო. ხოლო, როცა ხმა გავრცელდა მაცეო მოკლესო, ესპანია დღესასწაულობდა მტრის სიკვდილს და მადრიდში ჩირაღდნები იყო გამართული.

მაცეოს სიკვდილის მიზეზად ვინ იცის რაებს არ ამბობენ: ზოგნი ამბობენ ღალატობით მოკლესო, ზოგნი ამბობენ ესპანიის მთავრობამ მაცეოს მსახურნი შეისყიდა და მოაწამლინაო, როგორც მაცეო, აგრეთვე მისი ადიუტანტი გომეციო და მათი ცხედრები მალულად დაფლეს, რომ ხალხი უფრო არ აღელვებულიყოვო; ხოლო ამ ერთი კვირის წინად ამერიკის გაზეთებში სწერდნენ, რომ ანტონიო მაცეო ცოცხალია და ამ ჟამად ამერიკაში იმყოფება, რომ უკეთ მოაწყოს აჯანყების საქმე და ამერიკის ერიც მოიმხროსო. ეს უკანასკნელი ხმები უეჭველია ხალხის ფანტაზიის მოგონილია, რადგან მაცეოს კუბის მკვიდრნი თითქმის აღმერთებდნენ...

ფრიად შესანიშნავი ამბავი

ნიშნები მარსიდგან. ინგლისის გამოჩენილმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა ფრენსის გალტონმა გამოაცხადა, რომ ამ ჟამად მარსზე ყოველ დღე

ლები ფილოსოფოსნი, იყვნენ პირველნი, რომელთაც ქრისტიანობა მოჰფინეს ქვეყანაზედ და მრავალ— იწამნენ! კაცობრიობის მატიანე გვიჩვენებს ზოგიერთ ქალებს ულევასაებრ გაბრწყინვებულთ, როგორც ჭკუაგონებით, ისე კეთილ-ზნეობით. ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ ქალის ბუნებაში, ქალის გონებაში დახშულია იდუმალი ძალა მრავალის სიკეთისა; თუმცა კი ხშირად ამ დახშულ ძალას პირ-ბადე აუხსნია და ნაცვლად კეთილისა, გმირობისა და გონიერებისა სიცრუე, ვერაგობა და შფოთი დაუთესია!...

(შემდეგი იქნება)

დ. ზუგდიდი. აქაური „რამე-რუმე“. ნურას უკაცრავად! ღმერთმა ხომ იცის, რომ მე აზრად არ მომივიდოდა გაზეთში წერა. ეს შემთხვევამ მოიტანა. ერთი ჩემი ნაცნობი შემომივარდა სახლში და მითხრა: კაცო, წაიკითხე თუ არა „ცნ. ფურც.“ № 75? მერე რა გინდა,— ვუპასუხე. რა გინდა კი არა, ღმერთს გეფიცები, ჩვენ, ზუგდიდლები, ერთის საუკუნით ჩამოვრჩით ჩვენს თანამოძმეებს სწავლა-განათლებით და განვითარებით! მე ამიტყდა სიცილი. სწორედ, ჩემი მეგობარი ჭკუაზედ თხლად ბრძანებულა, მეთქი. სად ზუგდიდლები და სად ჩამორჩენა განვითარებით? ერთი წელიც არ გასულა მას აქეთ, რაც საფრანგეთიდგან მოსულ ინჟენერებს თორმეტი ათასი მანათი შევაჭამეთ და ბ. აბესაძემ კიდევ ერთი დუჟინი შამპანსკი გადავაყლაპეთ, რომ რკინის გზით შეეერთებინათ ზუგდიდი ერთის მხრით რუსეთთან და მეორეს მხრით, პირ-და-პირ აწ სახელ-განთქმულ ქალაქ ფოთთან. აბა მაშინ ისახელებს თავს ჩვენი ზუგდიდიც. ხუმრობა საქმე-კი არ არის ფოთთან შეერთება, მაგრამ ან ახლა რა გვიჭირს?

მართალია, წიგნის სამკითხველო არა გვაქვს, გაზეთები არ მოგვდის, ქალაქის მმართველობა იმ რიგით მიმდინარობს, როგორც 50 წლის წინად, არაფერი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი არა გვაქვს, მაგრამ ეს წვრილმანები არ გვიშლის ხელს, ჩავეწეროთ განვითარებულ ქალაქების რიცხვში.

მოდი და ნუ მეწყინებოდა ჩემის ამხანაგის სიტყვები. მერე თავმოყვარე კაციც გახლავართ და ზუგდიდელი პატრიოტიც. რა ვქნა, მიყვარს ჩემი ზუგდიდი.

ამხანაგმა მიპასუხა:

— კაცო, ხომ არ გაგაჟებულხარ, რას იცინი? ჯერ წაიკითხე ქ-ნ დარია ფალავას მიერ წარმოთქმული სიტყვა და მერე თუ გინდა, თავი ქვას ახალე. კნეინა ფალავას სახელის ხსენებაზედ, ცოტა არ იყოს შევკრთი და ხელები გაუწოდე ჩემს მეგობარს გაზეთის გამოსართმევად.

— რა გინდაო,—მკითხა ამხანაგმა.

— გაზეთი.

— მერე შენ არა გაქვს? იცი, ჩემი გაზეთი ბუხარში დაიწვა. წარმოიდგინე, ხმა მაღლა ვკითხულობდი, ცოლი ჯერ სიამოვნებით ყურს მიგდებდა, მაგრამ ქ ნ ფალავას სიტყვამდე რომ ჩავედი, ჩემმა ცოლმა გაზეთი ხელიდგან გამომგლიჯა, ბუხარში უკრა თავი და ძლიერ გაანჩხლდა. ეგ-ღა გვაკლდა, ქალებმაც „რეჩები“ დაიწყეს, ქა, ბანკის ორატორები არიან? მერე ეს „ცნობის ფურცელი“-ც რომ ბეჭდავს?

დიდის ხნის ძებნის შემდეგ ძლივს ვიპოვე № 75 „ცნობის ფურცლისა“ და კიდევაც დავსტკბი იმის კითხვით. აბა რომელი ქართველის გული არ ატოკდება, როდესაც წაიკითხავს ქ.ნ დარია ფალავას სიტყვას. როგორც თვით აღიარებს, მას არ მიუღია ახლანდელ დროის სწავლა-განათლება, მაგრამ, სჩანს რომ, თავისი ნიჭი არ დაუმარხავს.

ამბობენ, სხვა ქვეყნებში ქალები ეხმარებიან სწავლა-განათლების საქმეს, ასწავლიან და უვლიან გლეხის ხუჭუჭ-თმიან შვილებსაო, მაგრამ ყველა ეს ხომ უსაქმო ქალების საქმეა და ჩვენ ქალბატონებს როდი სცალიანთ ამისთვის! თორმეტ საათამდის უნდება პირის-სახის დამახინჯებას, მას მოსდევს სადილი, სადილს ძილი, ძილს ჰორიკანობა, მერე კიდევ ძილი და ამნაირად ტრიალებს აქ ჩარხი სიცოცხლისა. კეკლუცი მეგრული თავსახურავები გადასცვალეს „შლიაპებად“ და ახლა სოფლის გოგოებსაც თავი აჭრელებული აქვთ საზღვარ-გარეთელ ფრინველების ფრთებით. განათლებაა მაშ რაღა ჯანაბაა! ამით ხომ გავასწარით სხვა ქალაქებს. მაგრამ სჯობს, ენა ჩავიკმინდო, თორემ თუ ამ ქალბატონებმა ჩემზედ გამოილაშქრეს, ქვით ჩამქოლავენ და ვერც ერთი საქველ-მოქმედო დაწესებულობა ვერ მიშველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნდება ნიშნები ისეთის საკვირველის რიგითა და წესით, რომ, უეჭველია, მარსის მცხოვრებლებს ჩვენთან დალაპარაკება სურთ ამ ნიშნებითაო. ერთმა ობსერვატორიამ მოიგონა მანქანა, რომლის შემწეობითაც ეს ნიშნები იწერება. აღმოჩნდა, რომ მორსიდგან ამ ნიშნებ შორის არის სამი ასო. ერთი ასო მოჩანს $1\frac{1}{4}$ წამს, მეორე $2\frac{1}{2}$ წამს და მესამე 5 წამს. (წერტილი, ხაზი და უფრო გრძელი ხაზი). ამ ასოებს აერთებენ და გამოდის სიტყვა, სიტყვებისაგან სდგება მთელი წინადადება. ასოებ შორის გაივლის ხოლმე $1\frac{1}{2}$ წამი, სიტყვებ შორის 3 წამი და წინადადებათა შორის 6 წამი, რადგანაც სულ სამი ნიშანია, ამტომ ერთ ასოსაგან შემდგარ სიტყვების ჯამი არის ხოლმე 3, ორ ასოსაგან—9 საასოსაგან 27 და აგრე გაჰყვება თურმე გეომეტრიის პროგრესსით. ამ სიტყვების გამოსახატავად მიდის 6,10,15,20 და 24 წამი. სერ ფრენსის გალტონი ამტკიცებს, ეჭვს გარეშეა, რომ მარსის პლანეტზედ ხალხი სცხოვრობს და ზემოხსენებულ ნიშნებით ჩვენთან დალაპარაკება უნდათ.

სასამართლოს მატიანე.

საქმე თავ. ვასილ და გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვისა და ტატიევისა.

მკითხველებმა ალბათ იციან, რომ შარშან ბანკის არჩევნების შემდეგ სასტუმრო „სამტრედიის" პატრონმა უჩივლა სასამართლოში თავ. გიორგი და ვასილ ბაგრატიონ დავიდოვებს და გიორგი ტატიშვილს, სასტუმროში დაიყენეს ასამდე კაცი, რომელნიც ბანკის ჩამოსატარებლად ჰყვანდათ ჩამოყვანილი, ჭამეს და სვეს, იქეიფეს, ფული არ მომცეს დანახარჯისა და ზედ მეტი ჩხუბი ასტეხეს, დამიმტვრიეს და მომილეწეს სასტუმროში ყველა ავეჯი და შუშები და სხვა. ეს საქმე სასამართლომ შარშანვე გაარჩია მოწმების გამოკითხვით, მაგრამ ბრალდებულნი არ გამოცხადნენ, ამიტომ მოსამართლემ დაუსწრებელი განჩინება დასდვა, რომლითაც ბრალდებულებს უნდა გარდაეხდათ დანახარჯისა და დამტვრეულ ავეჯის ფასად თოთხმეტ თუმნამდე. ამ განჩინებაზე ზემოდ ხსენებულ პირებმა საჩივარი შეიტანეს, რომლითაც უარს ჰყოფდნენ არუთინოვის საჩივარს და ამ თვის 16, ესე იგი გუშინ წინ, ეს საქმე ხელახლად გაირჩა სასამართლოში. ვასილ ბაგრატიონის და გიორგი ტატიშვილის მაგიერ გამოცხადდა მათი ვექილი გრუზენბერგი და თვითონ მოპასუხე თავ. გიორგი ბაგრატიონი და მომჩივარი არუთინოვი. ამ უკანასკნელმა ისევ ისა სთქვა, რაც წინეთ აჩვენა და დაასმინა, რომ ფული აღარ მომცეს, თუმცა თავადი გიორგი ბაგრატიონი დამპირდა ყველა დანახარჯის მოცემას. ამაზე თავ. გიორგი ბაგრატიონმა სთქვა, რომ ეგ ტყუილი არისო. ვასილ ბაგრატიონის და გიორ. ტატიშვილის ვექილმა გრუზენბერგმა სასამართლოს წარუდგინა არუთინოვის წერილი თავ. ივანე გიორგის ძე მაჩაბლისადმი; ამ წერილში არუთინოვი ულოცავს რა თავ. ივანე მაჩაბელს გამარჯვებას და მტრების დამლევას, ბოლოში დასძენს, რომ მეც ბევრს ვეშველებოდი მტერთა დამარცხებაში და შენს გამარჯვებაში და ამიტომ მოიღე შენი წყალობა და მომეცი ის ოცი თუმანი, რომელიც თქვენებიანებმა დახარჯეს ჩემს სასტუმროშიო. ბოლოს ორთავე მოპირისპირე მომჩივანთა თხოვნით საქმე გადაიდვა შემდეგისათვის, რადგან მაშინ გამოიწვევს მოსამართლე სხვა მოწმეებსაც, რომელთა ჩვენება უფრო შუქს მოჰფენს ამ უბრალო, მაგრამ იმავ დროს ფრიად სამწუხარო საქმეს, რადგან იგი ასე გათავდება თუ ისე, ყოველ შემთხვევაში აბრუს და სახელს უტეხს ბევრს ჩვენებურს თავად აზნაურთა ღირსებას.

ახირებული საჩივარი სწორედ ეს გახლავთ.

ერთს მდიდარს კაცს პარიზიდგან სადღაც უნდოდა წასვლა. მივიდა სადგურზედ, იყიდა ბილეთი და მატარებელში უნდა ჩამჯდარიყო, მაგრამ ცხვირ წინ კარები ჩაუკეტეს, გვიან არისო, თუმცა მატარებელი ჯერ არ დაძრულიყო, მაგრამ კარებს არ უღებდნენ. მეტი გზა არ იყო მგზავრი თავის ბედს უნდა დამორჩილებოდა და მეორე მატარებლისათვის უნდა დაეცადნა სადგურზედ მთელი ორი საათის განმავლობაში. ეს მგზავრი პარიზის ბირჟის მოღვაწე გახლდათ. მოწყენილმა მგზავრმა აიღო რკინის გზის ტარიფის (ფასების სია) და ათვალიერებდა. გამოიანგარიშა, რომ რკინის გზას ამ ტარიფის ძალით უნდა გამოერთმია 15 ფრანკი 43 სანტიმი (5 მ. და 14 კ.), ხოლო მას გამოართვეს 15 და 45 სანტიმი (5 მ. და 15 კ.), ე. ი. ერთი კაპეიკი მეტი გამოურთმევიათ. მგზავრმა საქმე გაიჩინა. მივიდა კასსასთან და მოითხოვა, ერთი კაპეიკი მეტი გამომართვით და უკან დამიბრუნეთო; გაოცებულმა კასსირმა ამაზედ უარი სთქვა და სადგურის უფროსთან გაგზავნა. სადგურის უფროსმა ყური არ ათხოვა, მოუსვენარმა მგზავრმა წერილით მიჰმართა რკინის გზის მმართველობას, მაგრამ პასუხი არ მოუვიდა. მგზავრმა დაზღვეული წერილი გაუგზავნა, მაგრამ არც ამან გასჭრა. მერე ოფიციალური თხოვნა გაგზავნა სასამართლოს ბოქაულის მიერ შემოწმებული. არც ამაზედ მოუვიდა პასუხი. ბოლოს მგზავრმა სასამართლოს მიჰმართა. ატყდა საჩივარი. რა თქმა უნდა, რკინის გზის მმართველობისათვის უფრო ადვილი იყო ორი გროშის გადახდა, მაგრამ ამით დამტკიცდებოდა, რომ მეტი გამოართვა მგზავრს და იმიტომ გაჯიუტდა, მაგრამ არც მგზავრი მოეშვა. სასამართლოში საქმე მოიგო. ორი გროშის საქმე მთელი პარიზის სალაპარაკო გახდა, ყველა დასცინოდა რკინის გზი მმართველობას, რომელმაც თავი გამოიდო, უნდა გავმართლდეთო, სამ წელიწადს იარა ამ საქმემ სასამართლოებში და ბოლოს მმართველობამ მაინც წააგო. ახირებულს მგზავრს თავისი ორი გროში დაუბრუნეს, ხოლო გზის მმართველობამ სასამართლოებში 8 ათასი ფრანკი დახარჯა. თავი შერცხვენა ხომ კიდევ მეტი ერგო.

გამოსადეგი ცნობა

ვარაყიანის ჩარჩოების წმენდა.

ვარაყიანის ჩარჩოებს ანუ სხვა ამისთანა საგნებს თუ გსურთ ბუზები არ მიეკარნენ, აიღეთ დაფნის ზეთი (лавровое масло) და ვარაყს წაუსვით.

ვარაყიანი ნივთები კარგა იწმინდება და არც ელვარება ეკარგება, თუ ერთ-ერთი ქვემო ნათქვამი საშუალება იხმარეთ.

1. პატარა ნაჭერი რბილი ღრუბელი უნდა დასველდეს ღვინის სპირტში ანუ სკიპიდარში და იმით ნაზად გაირეცხოს ვარაყი, ღრუბელი გაწურული უნდა იყოს. გარეცხვის შემდეგ გამშრალება საჭირო არ არის, თავისთავად უნდა გაშრეს.

2. 96 გრამმი კვერცხის ცილა აითქვიფოს 32 გრამმ ჟაველის წყალში (вода жавеля). ამაში ამოიწოს ძალიან რბილი ჩოტკა და იმით გაიწმინდოს ვარაყიანი ჩარჩო; შემდეგ ოდნავ ლაქი წაუსვას, რომელსაც დურგლები ხმარობენ.

3. რბილი ღრუბელი დაასველეთ ძველ ლუდში და ნაზად წაუსვით ვარაყს—გაიწმინდება.

ფერ წასული ანუ ბუზებისაგან გასვრილი ვარაყის გაახლება შემდეგის საშუალებით შეიძლება. ხახვი გასჭერით და ვარაყს უსვით ნელ-ნელა. (ხახვი გარდიგარდმო უნდა დაიჭრას, რომ ხელში არ დაიშალოს). წასმა რომ გაათავოთ, ორი საათი დააცადეთ და შემდეგ დასველებული ღრუბლით ნაზად გაწმინდეთ ვარაყი.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება ერთ სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქისა სოლომონ აკოფას-ძე კუხიევისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა $21\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. დაფასებულია 216 მანათად.

—

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაევისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

—

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. პანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) კნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა $\frac{1}{16}$ ნაწილი „საციციანო მთაში" და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ქვანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით სავანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩელიძისა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„НОВОСТИ"

и на еженедѣльный художественный журналъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ"

1897 года.

Изданія ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго акціонернаго общества

„ГУТТЕНБЕРГЪ"

подъ редакціею О. К. НОТОВИЧА.

◆◆

Подписка на „Новости" въ 1897 году.

На 1-е (большое) изданіе:

	На годъ		11 м.		10 м.		9 м.		8 м.		7 м.		6 м.		5 м.	
	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.
Безъ доставки . . .	14	50	13	—	12	—	10	50	9	80	9	—	8	—	6	80
Съ дост. по гор. почтѣ	16	—	15	—	13	50	12	—	11	—	10	—	9	—	7	50
Съ перес. иногороднимъ	17	—	15	50	14	50	13	50	12	50	11	30	10	—	8	50
За границу	26	20	24	50	23	—	21	—	18	50	16	—	14	—	12	—

	4 м.		3 м.		2 м.		1 м.	
„ „ „ „	5	50	4	—	2	80	1	50
„ „ „ „	5	80	4	50	3	30	1	80
„ „ „ „	7	—	5	50	4	—	2	—
„ „ „ „	10	—	8	—	6	—	3	50

вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью".

	на годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
Съ достав. по гор. почтѣ	17 —	16 —	14 50	13 —	12 —	11 —	10 —	8 50	6 80	5 50	4 30	2 80
Съ перес. иногороднимъ	18 —	16 50	15 50	14 50	13 50	12 30	11 —	9 50	8 —	6 50	5 —	3 —
За границу	27 20	25 5o	24 —	22 —	19 50	17 —	15 —	13 —	11 —	9 —	7 —	4 50

Подписывающіеся на „Новости" вмѣстѣ съ «Петербургскою Жизнью»

доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости" только одинъ рубль.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся; гг. иногородними подписчиками при подпискѣ—7 руб. (вмѣстѣ съ журналомъ „Петерб. жизнь" 8 р.), въ концѣ марта—7 руб. и въ началѣ августа—3 руб.; городскими: при подпискѣ 5 руб. 50 коп. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 6 р. 50 к.), въ концѣ марта—5 р. 50 к. и въ концѣ іюня 5 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „Новости" (Б. Морская, 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, „Новости".

На 2 е (малое) изданіе:

	на годъ		11 м.		10 м.		9 м.		8 м.		7 м.		6 м.		5 м.		4 м.		3 м.		2. м.		1 м.	
	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.
Съ дост. по город. почтѣ	9	—	8	50	8	—	7	50	7	—	6	50	6	—	5	—	4	—	3	—	2	—	1	—
Съ пересылк. иногородн.	10	—	9	50	9	—	8	50	8	—	7	—	6	—	5	—	4	—	3	—	2	—	1	—
За границу	18	—	—		—		—		—		—		10	—	—		—		6	—	—		2	—

вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью":

Съ достав. по город. поч.	10 —	9 50	9 —	8 50	8 —	7 50	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 —
Съ перес. иногороднимъ	11 —	10 50	10 —	9 50	9 —	8 —	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 —
За границу	19 —	—	—	—	—	—	11 —	—	—	7 —	—	3 —

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся: гг. иногородними подписчиками: при подпискѣ 4 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 5 руб.), въ концѣ марта—3 руб. и въ концѣ іюня 3 р.; городскими; при подпискѣ—3 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 4 руб. (въ концѣ марта—3 р. и въ концѣ іюня 3 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: *Петербургъ, въ контору газеты „Новости", (Б. Морская, № 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, „Новости".*

Подписка на „Новости" и „Петербургскую Жизнь" представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку одного рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльный иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матеріалъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоющую болѣе рубля, и, такимъ образомъ подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

Годовая цѣна журнала „Петербургская Жизнь", при отдѣльной подпискѣ на него, 6 руб.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

«ПЕТЕРБУРГКАЯ ЖИЗНЬ»

1897 года.

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс.—1 р.

◆ **Журналъ выходитъ по воскресеньямъ.** ◆

◆◆

„Петербургская Жизнь" по содержанію своему представляетъ иллюстрированную лѣтопись, текущихъ событій и потому вышедшіе нумера этого журнала навсегда сохраняютъ историческій интересъ.

При конторѣ газеты „Новости" существуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котораго подписчики „Новостей" пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель *О. К. Нотовичъ.*

(10—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Января 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.